ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2384156

ნომერი: AR1367773

თარიღი : 29.12.2015

გაცემის თარიღი : 15.01.2016

გაცნობის თარიღი : 21.01.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა მარაბდა , N 6 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 38-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 40 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 42 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 42-ის მიმდებარედ / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 44 / ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 38 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ავჟანდაძე პ/ნ 01008026064
- თბილისი კ.კეკელიძის ქ. N 19 ბ. 32

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26/11/2015

წლის №2313336 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 29/12/2015 წლის #AR1367773 განაცხადით მომართეს ნინო ავჟანდაძემ და გიორგი ბაკურაძემ და ამავე სამსახურის 26/11/2015 წლის №2313336 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვეს.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 26/11/2015 წლის №2313336 ბრძანებით, ქ. თბილისში, მარაბდის ქ.N6 / ქ. თბილისი, შატბერაშვილის ქ. N38-ის მიმდებარედ / ქ. თბილისი, შატბერაშვილის ქ. N40 / ქ. თბილისი, შატბერაშვილის ქ. N42 / ქ. თბილისი, შატბერაშვილის ქ. N42-ის მიმდებარედ / ქ. თბილისი, შატბერაშვილის ქ. N44 / ქ. თბილისი, შატბერაშვილის ქ. N38 კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი: N01.14.11.065.060) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 26 ნოემბრიდან 2016 წლის 26 ნოემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, 26/11/2015 წლის №2313336 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, საზაფხულო ფართობი ნაცვლად 301,1 კვ.მ–ისა წარმოადგენს – 300,7 კვ.მ–ს, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი ნაცვლად – 180,0 კვ.მ–ისა 216,3 კვ.მ–ს, ხოლო დამხმარე ფართობი ნაცვლად 123,8 კვ.მ–ისა 115.3 კვ.მ–ს. იცვლება ასევე საერთო ფართობიც და ის ნაცვლად 1198,6 კვ.მ–ისა შედგენს – 2034,4 კვ.მ–ს.

წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია სამსახურის 26/11/2015 წლის №2313336 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების შემდეგი სახით ჩამოყალიბება: საერთო ფართობი (კვ.მ).: 2034,4; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 300,7; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 216,3; დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 115,3;

სამსახურმა შესაბამისი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26/11/2015 წლის №2313336 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: საერთო ფართობი (კვ.მ).: 2034,4; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 300,7; კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 216,3; დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 115,3; №2313336 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 26/11/2015 წლის №2313336 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.